


დინამო, ნაბრეზე ნაკლებით

მსხრეპიონმა მფრთხელთა ტანდემი ისურვა

საქართველოში მოდური სიახლეა: საპარლიამენტო არჩევნების წინ პოლიტიკურ ბლოკ „აღორძინებას“ ისეთი დევიზი ჰქონდა, ორი რამ სჯობს ერთსო, რომ ამან სპორტულ სამყაროზეც გვარიანად იმოქმედა, არჩევნებზე აღარაფერს ვამბობთ. მართლაც ორი სჯობს ერთსო, იფიქრეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა და აღმასკომს ერთგული გუნდის მწვრთნელებად რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი დაანიშნინეს. ეს უკვე ძველი ამბავია, ორივე მწვრთნელი თანაბარუფლებიანია.



სერგო კუტივაძე



მურთაზ ხურცილავა

თითქოს ამას მიბაძესო, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის საგარდოსის ბრძოლა ლამის სკანდალში გადაიზარდა და საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ პრეზიდენტისთვის მეორე სკამიც გამოჭედეს — ერთმა შინაურ საქმეებს მიხედოს, მეორემ — საგარეოსო, დაადგინა რიგგარეშე ყრილობამ.

და ახლა თითქმის გადაწყვეტილია — საქართველოს ათვის ჩემპიონსა და წლეულს ბრინჯაოს მფლობელ თბილისის „დინამოს“, რომელსაც დღეს ზუსტად თვე შესრულდა, რაც უთავკაცოდ დარჩა, ორნი გაწვრთნიან — 99 პროცენტია, გუნდს მურთაზ ხურცილავასა და სერგო კუტივაძეს ჩააბარებენ, ბოლოდროინდელი მოდით, რა თქმა უნდა, პარიტეტულ საწყისებზე.

საბოლოოდ ეს ამბავი ორშაბათს გადაწყდება. როგორც „დინამოს“ პრეზიდენტმა მერაბ რატიანმა გვითხრა, ნიუანსებილა შესათანხმებული რატიანისვე თქმით, თუ ნაკრებს ორნი თავკაცობენ, რატომ არ შეიძლება, იგივე „დინამოში“ იყოს? ნება მათია, უნდათ გუნდის ყველა სათამაშო რგოლი თითო-თითოს გააწვ-

რთვენიონ. საკითხავი ისაა, როგორ გაამართლებს.

მერაბ რატიანმა ისიც განვეიცხადა, ინტერტოტოს გათამაშებისთვის „დინამოს“ კვლავაც მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ჯემალ ჩიმაკაძე მოამზადებს და მერეც გუნდში დარჩება.

გუმინ, ეს ამბავი რომ გავიგეთ, მურთაზ ხურცილავას ვერაფრით დაუკავშირდით, მისმა შესაძლო მეწყვილემ სერგო კუტივაძემ კი ეს გვითხრა:

— ორშაბათს ველოდებით. ჩვენი დანიშნა სწორედ მაშინ გადაწყდება. ისე, კლუბსა და ჩვენს შორის ყველაფერი შეთანხმებულია. მე თანახმა ვარ, გავწვრთნა „დინამო“. ეგაა, ხურცილავასთან ერთად ახალგაზრდულ ნაკრებშიც ვმუშაობ და საქმის კურსში ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ფორდანიაც უნდა იყოს.

როცა კუტივაძეს „დინამოს“ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე ვკითხეთ და აქედან გამომდინარე, გუნდის გაწვრთნას რატომ დათანხმდითო, გვიპასუხა — „დინამო“ „დინა-

მო“, უპატრონოდ არ დარჩება, ვალებს მაღე გაისტუმრებენ და საქმეც კარგად იქნებაო.

მერე ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარას შევეხმიანეთ, ჩვენდა გასაკვირად, ეს ამბავი არ სცოდნოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ვგითხრა და დაამატა:

— ფედერაციამ მხოლოდ ორი მწვრთნელისთვის დაუშვა გამონაკლისი, ძოძუაშვილსა და ყიფიანს მისცა ნება, კლუბებშიც ემუშავათ. ახლა დაფიქრდებით, ჩვენი პოზიცია ალბათ უწინდელისგან განსხვავებული იქნება. როგორი? ამას ჯერაფერობით ვერ გეტყვით. ისე კი, საერაულოა, ფედერაცია ხურცილავასა და კუტივაძეს ახალგაზრდული ნაკრების პარალელურად კლუბის გაწვრთნას არ დაანებებს.

ენახოთ, რაკი საქმე აქამდეა მისული, ორივე მწვრთნელს ალბათ ნაკრებს კლუბი ურჩევნია. შევასხენებო, კუტივაძეცა და ხურცილავაც ადრე წვრთნიდნენ „დინამოს“, ოღონდ ცალ-ცალკე. ახლა კი... მოდა და...

კობა ინასარიძე

სარგბიელი №4

16 გუნდი — 16 გვერდი; ევროპის ჩემპიონატის კალენდარი; ჩემპიონთა ლიგა; უეფას თასი, პოსტერი...
ორშაბათიდან იყიდება ჟურნალი
სარგბიელი
 მეოთხე ნომერი
 ფასი 2 ლარი

მასო მიდის, ჯანი რჩება
 „ბათუმში“ კარნევალის ისევ ელიან, მახარაძეს კი ემშვიდობებიან

კოფის საფიქრალი: ძამბროტა, ნებრო, ნესტა
 იტალიის ნაკრებს დამავებულები მოუპრავლდნენ

ლეიკერსმა ფინალი მელაპრად დაიწყო
 შაკილ ონილმა ყველა და ყველაფერი წააღებ

ჯადო მარის ხელშია



მარი პირსი

„როლანდ გაროსის“ წყველა ისევ ჭრის — მსოფლიოს პირველი ჩოვანი მარტინა პინგისი წლეულსაც ვერ ეღიროება სოცნებო ფრანგული ჯილდოს ხელში დაჭერას. 19 წლის შვეიცარიელს ამჯერად ვზა ძველია ნაცნობმა და მეწყვილემ მარი პირსმა ვადაულობა. დაძაბულ და ლამაზ შეხვედრაში ფრანგმა უამრავი შანსის ხელიდან გაშვება არ დაიშინია და პარიზის მიწაზე პინგისის ბერწობა ვაახანგრძლივა. მარის მეტოქე ფინალიში თვისტომ არანა საჩხე-ვიკარიოს ვამაძწარებელი კონჩიტა მარტინესი იქნება.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

REUTERS პარიზიდან

პროფესიული ფეხბურთის ახალი სიეფონია

დასრულდა საქართველოს მეტერთმეტე ჩემპიონატი, რომელმაც მრავალი სიურპრიზი შემოგვთავაზა. ბევრის აზრით, ფეხბურთის ფედერაციის დამკვიდრებულმა სიანსლემ გაამართლა. ზოგს კი ჰგონია, რომ პირველ ჯგუფში გუნდების შემცირება დიდი შეცდომა იყო და ახალი სისტემა მხოლოდ ერთეულთა დასაწინაურებლად გახლდათ მოგონილი.

ნაუცბათევი კომენტარი საქმეს არ წაადგება და გათამაშების ახლებურ ვარიანტზე საბოლოო, სარბიელისეულ ვარაუდზე საუბარი ნადრევი. ფედერაციის მოდელს დრო გამოცდის, ვნახოთ, როგორ გაუძლებს ჟამთა სვლას ახალი ფორმულა.

მანამდე კი ერთი რამის თქმა მაინც შეიძლება — მეტერთმეტე ეროვნულმა ნათლად დაგვანახვა, რომ საქართველოს ჩემპიონატში დონემ აქამდე არნახულად დაიწია. ასეთი მწირი ფეხბურთი (ყველანაირი გაგებით) ქართველ გულშემატკივარს ჯერ არ უნახავს. გუნდების სათამაშო დონე გათანაბრდა, რაც კონკურენციის ზრდის წინაპირობაა. გამოჩნდნენ ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეები, რომლებთანაც მუშაობა სულაც არ იქნება შრომის წყალში გადაყრა.

ინგრევა და პარტანდება ჯერ კიდევ საბჭოეთის პერიოდის ბაზები და სტადიონები. მართალია, ახლებიც შენდება, მაგრამ ნგრევა უფრო ფართომასშტაბიანია, ვიდრე მატება.

თუ ქართულ ფეხბურთში გაცილებით მეტი რაოდენობის ფული არ იქნა მოზიდული, წინსვლა შეუძლებელია. ვერც ერთი ახალი სისტემა დონეს ვერ ასწევს. ფეხბურთში ფულის ჩამდები კაცი სწორედ ფეხბურთის ფედერაციამ უნდა დაარწმუნოს იმაში, რომ დაწყებულ საქმეს სწორი მიმართულება მიეცემა. აუცილებელია კეთილსინდისიერი თამაში, ყოველგვარი ჩაწყობებისა და გარიგებების გარეშე.

თუ საქმე ამგვარად არ მოეწყო, ორიოდ ფანტატიკოსის მიერ გადაყრილი ათასები თვალსა და ხელს შუა ისე გაქრება, რომ ფეხბურთის ვერაფრით შეიწყვეს.

ახლა იმას მოგახსენებთ, თუ ვინ, რატომ და როგორ ისახელა თავი. ბუნებრივია, ჩემპიონით დავიწყებთ. მამ ასე, რატომ გახდა ქუთაისის „ტორპედო“ ჩემპიონი?

პირველი და აუცილებელი პირობა მყარი ფინანსური ბაზა იყო. თითოეულმა ტორპედოელმა იცოდა, რომ დაღვრილი ოფლი და დანარჩული ენერჯია საკადრისად აუნაზღაურებოდა. ფეხბურთელებს წამითაც არ უფიქრათ, ოჯახში რა წავილიო. ბუნებრივია, მათი აზრები ფეხბურთსა და მოედანს არ გასცილებია. ამ ფაქტორმა დიდი როლი ითამაშა „ტორპედოს“ გაჩემპიონებაში.

მეორე საყურადღებო ფაქტი ის იყო, რომ ქუთაისელებმა ჯერ შეინარჩუნეს, მერე გააძლიერეს წლობით შემთამაშებული შემადგენლობა. თითოეულ ტორპედოელს სიტყვის უთქმელად, ყოველგვარი ფესტების დაუნმარებლადაც ჩინებულად ესმოდა თანაგუნდელის. ამან ქუთაისელთა თამაში მწყობრი და პარმონიული გახადა.

არ დავივიწყოთ ახალი მწვრთნელის, დავით ყიფიანის დადებითი როლი. შეიძლება ყიფიანს „ტორპედოს“ თამაში ბევრიც არაფერი შეუცვლია, მაგრამ ახალმა თავკაცმა დისციპლინა გაამკაცრა, როგორც მინდორზე, ასევე მის გარეთაც.

„ტორპედო“ ჩემპიონატის პირველ ეტაპზე შედარებით იოლ ჯგუფში მოხვდა. ამან ქუთაისელებს მეორე ეტაპისთვის ქულათა სოლიდური რაოდენობის დაგროვების გარანტია გაუორმაგა.

სულ ბოლო მიზეზად განახლებული, ევროპულ სტანდარტებს მიახლოებული სტადიონი და ჩემპიონობის დაუოკებელი წყურვილი მოვიშველიოთ. ამის შემდეგ ტორპედოელთა პირველობა გასაკვირი არავისთვის უნდა იყოს.

მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი „ვიტ ჯორჯიამ“ დაისაკუთრა. რა თქმა უნდა, წარმატება ციდან არ მოფრენილა. ამასაც თავისი წინაპირობა ჰქონდა.



ტორპედოელთა ვიცე-კაპიტანი და ვით ჭანაშიამ ჩემპიონის თასი მერამ ჟორდანისგან ჩაიბარა

ფინანსურად წელგამართულმა ვეტერინარებმა გუნდი ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელებით დააკომპლექტეს. ყველას ერთი მიზანი აერთიანებდა, მხოლოდ წარმატება და სახელის მოხვეჭა. „ვიტ ჯორჯია“ თამაშიდან თამაშიმდე უმატებდა და დასკვნით ეტაპსაც სრულ მზადყოფნაში შეხვდა.

დიდი როლი ითამაშა კლუბის გამართულმა ინფრასტრუქტურამაც. უფროს-უმცროსი, ყველა დაუნარებლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამას დაემატათ სოლიდური უცხოური პარტნიორები (სპონსორები), რამაც კლუბს თავდაჯერება შეჰმატა და ვერცხლიც საიმედო პატრონს ჩაუვარდა ხელში.

„ვიტ ჯორჯია“ ჯერაც მშენებარე

და მზარდი კლუბია. ახლა მაჭარს ჰგავს, ვნახოთ, რომ დადლდება, როგორი ღვინო გამოვა.

„დინამოს“ უარესზე უარესი დროება დაუდგა და მისი მესამეობაც ბევრს არ გააკვირვებია. ყოფილი ჩემპიონების გასაჭირზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ამიტომ ახლა გამეორებას არ დავიწყებთ, მხოლოდ ერთს ვიტყვი: „დინამოს“ ფინანსური პრობლემები რომ არ შექმნოდა, დღესაც უცვლელი ჩემპიონი გვეყოლებოდა.

„ბათუმმა“ კარგად დაიწყო და ცუდად დაასრულა და ეს სულაც არ ყოფილა მოულოდნელი. ახალი მწვრთნელი, ახალი იდეებითა და მენტალიტეტით ცხრა თვეში ვერაფრით შეძლებდა საჩემპიონო გუნდის გაკეთებას. სანამ ბათუმელები იტალიელის

მოდერებს დაიზებებენ, მანამ გვარიანი დროც გავა. ვნახოთ, როგორ გადაჭრის პრობლემებს ჯანი კარნავალი, მთარგებს თუ არა იტალიურ გასაღებს ბათუმურ კარებს.

ფოთის „კოლხეთმა“ პირიქით, ცუდად დაიწყო და კარგად კი დასრულა, მაგრამ წარმატებისთვის ეს არ გამოდგა საკმარისი. ტყეუზრავს გუნდს რაღაც აკლია და ეს, ალბათ, მწვრთნელზე უკეთ არააინ უწყის. კოლხეთმა შეძლეს დასკვნითი ეტაპისთვის ორგანიზებული და შეკრული გუნდი შეექმნათ, მაგრამ დრო არ ეყოთ. ისინი ფორმაში მაშინ შევიდნენ, როცა ჩემპიონატი დასრულდა. ფოთელებმა გუნდის ძირითადი ბირთვი თუ შეინარჩუნეს, მომდევნო გათამაშებაში ტოლს არავის დაულებენ.



ვიცე-ჩემპიონ ვიტელთა სიხარული: ბევრისთვის მოულოდნელად ვეტერინარებმა ვერცხლი ირგუნეს

„იბერია“, „დილა“ და „სიონი“. რა შეიძლება მათზე ვთქვათ? ბევრიც არაფერი. უბრალოდ, საკუთარს ჩემპიონატი მოხვედრაც კი მათთვის გმირობის ტოლფასი იყო. განა ყველამ არ ვიცოდით, რომ გასაჯარუნ ზონას თავდალწული გორელები დასკვნით ეტაპზე გულს დაიარხებინებდნენ და არავის აწყენინებდნენ?

„სიონმა“ ფურორი პირველ ეტაპზე მოახდინა და მერე არც გაქნება ვყო წარმატების გასაღრმავებლად და არც ცოდნა-გამოცდილება.

„იბერიას“ ხელმძღვანელობას ერთხელ კი წამოსცდა, საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძობებით, მაგრამ მათი ნათქვამი ყველამ ხუმრობად მიიღო. ან კი რა წარმატებაზე უნდა ეფიქრა გუნდს, რომლის სალარო დაცარიელებულია და საშინაო მატჩების გასამართად საკუთარ სტადიონზეც არ უშვებდნენ. „იბერია“ ის ადგილი მიიღო, რომელსაც იმსახურებდა.

ახლა „ბ“ ზონას მივხედოთ. თბილისურმა „მერანმა“ ყველას დაუმტკიცა, რომ მისი „ბ“ ზონაში მოხვედრა საცოდაობა იყო. პირველ ეტაპზე ფინანსურად შეჭირვებული ავტოლელები წასასვლელად გამზადებული პრეზიდენტის ფეხის ხმას არ აწყენენ. გუნდი არ დაშალეს, პატრონიც შეძლებული იშოვეს და ახლა მომდევნო გათამაშებას იმედით შეჰყურებენ.

ასევე „უსამართლობა“ იყო, რომ რკინიგზელები საუკეთესო რვა გუნდში ვერ მოხვდნენ. „ლოკომოტივს“ ყველაფერი ჰქონდა, იმისთვის, რათა უძლიერესთა შორის ებრძოლა, მაგრამ საკადრისი გუნდი ვერ გააკეთეს და...

„ბ“ ზონაში მოხვედრილმა „ლოკომოტივმა“ ორიენტაცია მხოლოდ სათასო თამაშებზე აიღო. ახალმა მწვრთნელმა და ფაქტობრივად ახალმა გუნდმა ხელმძღვანელობის ჩანაფიქრი რეალობად აქციეს. „ლოკომოტივმა“ თასიც მოიგო, ევროსარბიელის საგზურიც დაიბევა და მომავლისთვის ჩემპიონობაც ამოიჭრა გულში. ვნახოთ, ყოველ შემთხვევაში, შეძლება ხელს უწყობთ.

მეშმა კილასონიებმა, სანდრო ბურნაძემ და რუსთაველმა ახალგაზრდებმა წლეულსაც უერთგულეს „გორდას“. უსახსრო და უპატრონი რუსთაველმა გუნდმა ბევრი მატჩი სათავისოდ ჩაამთავრა, ბევრგან იომა და ღირსეულადაც დარჩა უძლიერესთა შორის.

აბა, უსამართლობა ის იქნებოდა, თსუ გავარდნილიყო. სტუდენტები გააზრებულ, ლამაზ ფეხბურთის თამაშობდნენ, თანაც სულ ახალგაზრდები უმკლავებოდნენ გათამაშების სიდუხჭირეს. ბოლოს თსუელთა მონღომებამ და თავდადებამ ნაყოფი გამოიღო, სიმართლემაც იხვიდა და თსუ უძლიერესთა შორის დარჩა.

„სამგურალი“, „თბილისი“, „არსენალი“ და „ხობი“ — მათ უპატრონობამ და უსახსრობამ მოუღო ბოლო. ისე ძნელია, „სამგურალზე“ თქვა, უსახსრო და უპატრონი იყო. კონკურენტებზე ნაკლები არც ფული ჰქონიათ წყალტუბოელებს და არც ხელმძღვანელი ჰყოლიათ ფეხბურთში ახალი მოსული, მაგრამ გრიგოლ ქათამაძისა და კომპანიის გეგმებმა სრული კახი განიცადა. არადა, არ ჰყავდა იასონ ბზიკაძეს ურიგო გუნდი. „სამგურალის“ გავარდნაში მწვრთნელ-ფეხბურთელები უბრალონი არიან.

„ხობი“ საკუთარი სარბიელის დისკვალიფიკაციამ დაღუპა, „არსენალი“ და „თბილისი“ კი ვინც და რამაც დააქცია, ზემოთ მოგახსენეთ.

მამ ასე, მეტერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის სიმფონიაც დაიწერა. ორკესტრს არა უშავდა, „ტორპედომ“, „ვიტ ჯორჯიამ“, „დინამომ“ და სხვებმაც არაერთი ინტრიგული მატჩი გვსახსოვრეს. დილეტანტით, არც დირიჟორზე ითქმოდა. ფეხბურთის ფედერაციას ხარვეზები კი ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მშველობიანად დასრულდა. მსმენელიც ზოგი კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა, ზოგიც უბრალოდ, აღშოთებულნი. რას ვიზამთ, ფეხბურთია და ფეხბურთში კი (განსაკუთრებით ქართულში) მართლაც ყველაფერი ხდება.

მამუშა კვანტალიანი

საპროგრესო 11 2 ეტაპი

ჩემპიონატის სტატისტიკა

ტური	28
მატჩი	224
გოლი	570
გოლი საშუალოდ მატჩში	2,55
გოლი საშუალოდ ერთ ტურში	10,0
მასპინძელთა მოგება	117 (52%)
ფრეები	46 (20%)
სტუმართა მოგება	61 (28%)
საერთო დასწრება	342 960
საშუალო დასწრება მატჩზე	1 531



25 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და მოთამაშე ზურაბ იონანიძე

ბომბარდირები

	გუნდი	გუნდის %
25 - იონანიძე	ტორპედო	35
22 - ვ. კილასონია	გორდა	52
15 - ნუნუნავა	თსუ	39
13 - გიორგი ქორიძე	ვიტ ჯორჯია	37
12 - ალექსიძე	დინამო	21
აშვეთია	დინამო	21
მეგრელაძე	ტორპედო	17
დ. ჯანაშია	ტორპედო	17
ვ. ჩიტაია	ხოზი	43
11 - გადელია	ბათუმი, თბილისი	10,21
9 - ქებაძე	ლოკომოტივი	21
ნიტაიშვილი	დინამო	15
ხორგუაშვილი	დილა	31

უშვამყურებლიანი მატჩები

№ მატჩი	დასწრება	ტურის №
1 ტორპედო — დინამო 0-0	15 000	4
ბათუმი — ტორპედო 2-1	15 000	2
3 ტორპედო — ბათუმი 4-0	10 000	9
4 ბათუმი — დინამო 0-0	8 000	10
5 ტორპედო — სიონი 6-1	8 000	12

მეორე ეტაპი „ა“ ჯონის ყველა ანგარიში

	დილა	ბათ	დინ	იბე	კოლ	სიო	ტორ	ვიტ	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ	№
დილა		0:1	0:3	3:0	0:2	1:0	0:4	0:2	14	2	0	12	10:37	16	8
ბათუმი	4:0		0:0	6:0	2:0	3:0	2:1	0:1	14	8	2	4	22:10	39	4
დინამო	6:1	0:0		2:0	1:1	3:0	1:1	0:0	14	5	9	0	19:4	41	3
იბერია	2:1	0:2	0:0		1:0	0:1	0:3	0:1	14	2	2	10	6:29	17	7
კოლხეთი	3:1	1:0	0:0	1:0		5:0	2:1	2:0	14	7	3	4	18:10	37	5
სიონი	4:1	1:2	0:2	2:2	1:0		2:4	1:2	14	3	1	10	13:32	21	6
ტორპედო	4:1	4:0	0:0	5:0	3:1	6:1		0:0	14	8	4	2	37:11	46	1
ვიტ ჯორჯია	2:1	2:0	1:1	2:1	0:0	1:0	1:1		14	8	5	1	15:7	41	2

მეორე ეტაპი „ბ“ ჯონის ყველა ანგარიში

	არს	თბ	გორდ	ხოზ	ლოკ	მერ	სამგ	თსუ	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ	№
არსენალი		4:2	0:4	4:2	0:1	0:2	2:1	0:2	14	3	0	11	11:27	14	15
თბილისი	2:0		1:4	3:0	0:1	0:1	0:0	0:4	14	3	2	9	12:26	18	14
გორდა	3:0	2:0		2:0	1:0	1:1	1:2	2:0	14	8	2	4	25:10	34	10
ხოზი	2:1	1:2	1:4		0:7	1:2	0:2	2:4	14	1	0	14	13:45	8	16
ლოკომოტივი	1:0	1:1	2:1	4:1		0:0	0:0	3:0	14	8	3	3	22:8	36	11
მერანი	1:0	4:0	0:0	1:0	3:1		0:0	1:0	14	9	4	1	18:5	39	9
სამგურალი	2:0	2:1	2:0	2:1	1:0	0:1		3:1	14	8	3	3	17:8	33	13
თსუ	2:0	2:0	1:0	7:2	0:1	2:1	1:0		14	9	0	5	26:15	35	12

პირველი ეტაპი „ა“ ჯონის ყველა ანგარიში

	არს	ბათ	დინ	თბ	ლოკ	სამგ	სიო	ვიტ	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ	№
არსენალი		0:1	2:0	1:1	0:4	2:1	0:1	1:2	14	2	3	9	10:23	9	8
ბათუმი	1:0		1:0	2:0	4:1	0:0	4:0	0:0	14	6	7	1	15:4	25	2
დინამო	1:1	2:1		3:2	4:0	7:1	3:0	4:1	14	11	1	2	37:12	34	1
თბილისი	3:1	1:1	0:1		0:4	5:2	3:4	2:1	14	3	4	7	21:31	13	6
ლოკომოტივი	2:2	0:0	1:2	2:1		2:0	0:1	1:1	14	5	3	6	21:19	18	5
სამგურალი	1:0	0:0	1:2	1:0	0:3		1:0	0:1	14	3	2	9	9:27	11	7
სიონი	1:0	0:0	1:3	2:2	1:0	2:0		0:0	14	6	3	5	13:19	21	4
ვიტ ჯორჯია	4:0	0:0	0:1	1:1	3:1	3:1	3:0		14	6	5	3	20:12	23	3

პირველი ეტაპი „ბ“ ჯონის ყველა ანგარიში

	დილა	გორდ	იბე	ხოზ	კოლ	მერ	ტორ	თსუ	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ	№
დილა		1:2	2:0	1:0	3:0	3:2	0:5	1:1	14	6	2	6	19:24	20	3
გორდა	2:0		4:0	4:1	0:1	0:0	0:2	3:1	14	5	1	8	17:18	16	5
იბერია	2:1	1:0		2:1	1:0	1:1	0:3	0:1	14	5	3	6	9:20	18	4
ხოზი	2:3	5:1	0:1		0:3	1:1	1:2	0:0	14	2	4	8	15:24	10	8
კოლხეთი	3:0	2:0	1:0	2:3		1:0	0:0	1:0	14	8	1	5	19:15	25	2
მერანი	3:1	2:1	0:0	0:0	1:2		0:1	1:1	14	3	6	5	14:15	15	7
ტორპედო	2:2	1:0	5:0	0:0	4:1	3:1		3:0	14	11	3	0	33:5	36	1
თსუ	0:1	1:0	1:1	4:1	3:2	0:2	0:2		14	4	4	6	13:17	16	6

ორივე ეტაპის ყველა მატჩი

<p>ტორპედო 70 (33+37)</p> <p>25 - იონანიძე</p> <p>12 - მეგრელაძე</p> <p>დ. ჯანაშია</p> <p>5 - მ. ბობოხიძე</p> <p>3 - ასათიანი</p> <p>იმედაძე</p> <p>ხვადაგიანი</p> <p>2 - ახვლედიანი</p> <p>გოგიაშვილი</p> <p>ქ. კვეციანიძე</p> <p>1 - ვაჩიბერაძე</p>	<p>გ. ჩიხრაძე</p> <p>ძიძუაშვილი</p> <p>ზიზანიშვილი</p> <p>გორდა 42 (17+25)</p> <p>22 - ვ. კილასონია</p> <p>5 - კიტეიშვილი</p> <p>4 - ლ. ალადაშვილი</p> <p>ინასარიძე</p> <p>2 - მიშველიძე</p> <p>1 - ბაჩილავა</p> <p>ბურნაძე</p> <p>ვ. კილასონია</p> <p>ზ. ლაბაძე</p> <p>მელაძე</p>	<p>2 - ბულუხია</p> <p>დ. გოგოლაძე</p> <p>ტორჩინავა</p> <p>ტრაპაძე</p> <p>1 - ახალკაცი</p> <p>დავითნიძე</p> <p>ფანშულიძე</p> <p>გ. ჩიტაია</p> <p>ხვადაგიანი</p> <p>(ტორპედო) საკ. კარში</p> <p>ვიტ ჯორჯია 35 (20+15)</p> <p>13 - გიორგი ქორიძე</p> <p>5 - რ. გოცირიძე</p> <p>4 - ვ. გორაშვილი</p> <p>3 - ლ. ნოზაძე</p> <p>2 - ყიფიანი</p> <p>ჭანკოტაძე</p> <p>1 - დ. დოლიძე</p> <p>კოტორაშვილი</p> <p>მაზიაშვილი</p> <p>ლ. მელქაძე</p> <p>საჯავია</p> <p>ხართიშვილი</p>	<p>4 - ლ. თოლორდავა</p> <p>3 - ბ. ამბიძე</p> <p>კაკაბაძე</p> <p>როსტიაშვილი</p> <p>2 - ბაჯელიძე</p> <p>გ. კვეციანიძე</p> <p>1 - კობესაშვილი</p> <p>პლურსმანაშვილი</p> <p>ფურცელაძე</p> <p>დილა 29 (19+10)</p> <p>9 - ხორგუაშვილი</p> <p>6 - სულთანიშვილი</p> <p>4 - ლომიძე</p> <p>3 - მარლიშვილი</p> <p>2 - არუთინიანი</p> <p>1 - ლ. გორაშვილი</p> <p>ციციქოშვილი</p> <p>ზურაბ აიანაძი</p> <p>(ხოზი) საკ. კარში</p> <p>სიონი 28 (15+13)</p> <p>12 - ვ. ჩიტაია</p> <p>3 - ჭიჭინაძე</p> <p>2 - ზურაბ აიანაძი</p> <p>დანელია</p> <p>ოდიშარია</p> <p>სურცილავა</p> <p>1 - ლ. ბუკია</p> <p>ბულუხია</p> <p>თორია</p> <p>ზ. კეკელიძე</p> <p>მ. ტყეშელაშვილი</p> <p>სიონი 26 (13+13)</p> <p>5 - ისინი</p> <p>4 - კ. გოგოლაძე</p> <p>3 - დ. გოდუბერიძე</p> <p>დათუაძე</p> <p>მოსეშვილი</p> <p>შაკიაშვილი</p> <p>1 - მ. გოგოლაძე</p>	<p>ვოლკოვი</p> <p>მ. სამხარაძე</p> <p>ბ. შენგელია</p> <p>მახვილაძე</p> <p>(ტორპედო) საკ. კარში</p> <p>სამგურალი 26 (9+17)</p> <p>4 - სუხიაშვილი</p> <p>ქუთათელაძე</p> <p>3 - დარსაძე</p> <p>ძიძუაშვილი</p> <p>2 - კოსტოძე</p> <p>ლონდაძე</p> <p>ი. ხაჭაპურიძე</p> <p>ზუნდაძე</p> <p>1 - ბერაძე</p> <p>გიორგობიანი</p> <p>კვეციანიძე</p> <p>გ. მაგნიძე</p> <p>არსენალი 21 (10+11)</p> <p>6 - კაკაშვილი</p> <p>4 - გონჩაროვი</p> <p>3 - ხოსროშვილი</p> <p>2 - ა. ხმალაძე</p> <p>1 - თარგამაძე</p> <p>სულაძე</p> <p>ტარიელაშვილი</p> <p>გ. ტულუში</p> <p>ქოიავა</p> <p>წიფიჭიჭიძე</p> <p>იბერია 15 (9+6)</p> <p>4 - ივეჩიანი</p> <p>3 - გეგეშიძე</p> <p>2 - მუშლაძე</p> <p>1 - აღიშვილი ?</p> <p>ი. გიგიაძე</p> <p>გ. ლურსმანაშვილი</p> <p>ზ. მეტრეველი</p> <p>ქ. ჯანაშია</p> <p>ლ. ხმალაძე</p>
--	---	---	---	---

ბარკვეული და გაურკვეველი

ბუსულ კვირაში მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგის ფორმატი შემოგთავაზებთ. დღეს უფასო თასზე მონაწილე გუნდებს გავეცნოთ, ხოლო ჩემპიონთა ლიგის სეზონი მოვუბრუნდეთ. საკმე ის გახლავთ, ფორმალის საბოლოო ვარიანტი უფასო ჯერაც ჩამოუყალიბებელი აქვს და შესაძლოა, ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მცირედი ცვლილებები კიდევ მოხდეს.

ადრე გამოქვეყნებულ ვარიანტში 47 ევროპული ქვეყანა იყო წარმოდგენილი. დღეს მათ კიდევ სამი — ლიხტენშტაინი, ბოსნია და ანდორა დაემატა. რაც შეეხება შესაძლო კორექტივებს, უცნობია ჩაებმებიან თუ არა ევროტურნირებში სან მარინოს კლუბები. თუ კი, მაშინ დამატებით ცვლილებებს უნდა ველოდოთ.

ჩემპიონთა ლიგა 48 ქვეყნის 73 გუნდით არის წარმოდგენილი — ლიხტენშტაინიდან და ანდორიდან იქ არაფერია. უფასო რეიტინგში 27-ე ადგილს ქვემოთ მყოფი ქვეყნების ჩემპიონები ტურნირში პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაებმებიან. ასეთი 22 გუნდია.

აქ გამარჯვებული 11 გუნდი კი იმ 17-ს შეუერთდება, რომელთაც ლიგაში თამაშის უფლება მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოიპოვებ. მათგან ექვსი ჩეხეთის, ავსტრიის, დანიის, ხორვატიის, თურქეთისა და უკრაინის ვიცე-ჩემპიონები არიან, დანარჩენები კი — თავიანთი ქვეყნის ჩემპიონები. ესეც 28 გუნდი და 14 გამარჯვებული. მესამე ეტაპზე მათ სხვა 18 გუნდი დაუხვდება და 16 წყვილს შექმნიან. ამ 18-ს კი ზემოთ ნახსენები ექვსი ქვეყნის ჩემპიონები, რუსეთის, საბერძნეთისა და პორტუგალიის მეორეადგილოსნები, იტალიის, ესპანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და ინგლისის ჩემპიონატების ბრინჯაოს პრიზორები და იტალიის და გერმანიის მეოთხეადგილოსნები შეადგენენ. რაც შეეხება ესპანეთს. იმ ფაქტმა, რომ „რეალმა“ ლიგა მოიგო, მაგრამ თავის ქვეყანაში ოთხეულს მი-

ღმა დარჩა, ფორმატში გაურკვეველობა შეიტანა. წესით მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ვალენსიას“ და „სარაგოსას“ უნდა ეთამაშათ. ცნობილი მიზეზების გამო სარაგოსელები ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩნენ. არადა, ამ ეტაპზე დაშვებული გუნდების რაოდენობა 18 უნდა იყოს. გამოთავისუფლებულ ადგილს ესპანური კლუბი ვერ დაიკავებს, ის სხვა ქვეყნისაა უნდა შეცვალოს. მაგრამ ვინ? ეს ვერ უფასო არ გადაწყვეტია.

ამ ეტაპზე დამარცხებულები უფასო თასზე გადაინაცვლებენ, ხოლო გამარჯვებულებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში თამაშის პატივი ელთ. ეს უფლება 16 გუნდს უკვე მოპოვებული აქვს. მათგან ექვსი კი თავისი ქვეყნის ჩემპიონი არ არის — „იუვენტუსი“, „ბარსელონი“, „ბაიერი“, „პარი სენ ჟერმენი“, „ჰერენვენი“ და „არსენალი“. ამის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში ბრ-

ძოლა უკვე კარგად ნაცნობი სისტემით გაგრძელდება.

ისინი ვინც ლიგის მიღმა დარჩნენ, მაგრამ არც მთლად წყალნალეულნი არიან, უფასო თასზე ითამაშებენ. ჯერჯერობით აქ მოასპარეზე 120 გუნდია ცნობილი, მათგან 80-ს კი თავდაპირველად საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს თავის ძალის დამტკიცება. აქ ქვეყნების უმრავლესობა თასის მფლობელი და ვიცე-ჩემპიონი არის წარმოდგენილი. რუსეთს და საბერძნეთს ოთხ-ოთხი გუნდის გაყვანის უფლება მიეცათ, ხოლო ყველაზე დაჩაგრული ლიხტენშტაინი და ანდორა არიან — თითო გუნდი. აქვე აღვნიშნოთ, რომ ლიხტენშტაინი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ევროტურნირზე ჩემპიონის ნაცვლად თასის მფლობელს წარადგენს. მიზეზი მარტივია — ამ ჯგუფს სახელმწიფოში ჩემპიონატი არ ტარდება. კვალიფიკაციის გაივლის უფასო ფა-

ორ პლეის რეიტინგში სამი საუკეთესო გუნდია. ესენია, „ტოტენჰემი“, „ჩელსი“ და „არსენალი“.

აქ გამარჯვებულები თასის გათამაშებას პირველ ეტაპზე მოხვდებიან, სადაც მათ 37 წინასწარ განთესილი, სამი ინტერტოტოს გამარჯვებული და 16 ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვარდნილი გუნდი დახვდება. წესით, ეს უფლება უფასო თასის მფლობელსაც აქვს, მაგრამ რაკი თურქული „გალათასარაი“ ჩემპიონთა ლიგას უმეზღვეს, მის ადგილს, უფასო გადაწყვეტილებით, ბელგიის თასის მფლობელი დაიკავებს, რომელსაც წესით საკვალიფიკაციო ეტაპიდან უნდა დაეწყო თამაში. ხოლო ამ ცვლილებამ ბალანსი რომ არ დაარღვიოს და რომელიმე ეტაპზე გუნდების კენტი რაოდენობა არ დარჩეს შევდეთის თასის მფლობელიც ასევე ასცდება კვალიფიკაციას.

ჩემპიონთა ლიგის და უფასო თასის წილისყრა 23 ივნისს ჟენევაში ჩატარდება.

უფასო თასი		UEFA		ჩემპიონთა ლიგა	
საკვალიფიკაციო	პირველი ეტაპი	ჯგუფური ეტაპი	III საკვალიფიკაციო ეტაპი	II საკვალიფიკაციო ეტაპი	I საკვალიფიკაციო ეტაპი
3 გუნდი Fear Play-იდან	3 გუნდი ინტერტოტოდან				
ბენფიკა	პარმა, რომა, ფიორენტინა	4	იტალია	4	ლაციო, იუვენტუსი
დრენოვიცე	ესპანოლი, სარაგოსა, ალავესი, რაიო ვერდერი, კაიზერი, შერტა	4	ესპანეთი	4	რეალი, დეპორტივო, ბარსელონი
რაპიდი (ვენა)	ნანტი, გენიონი, ბორდო	3	გერმანია	4	ბაიერი, ბაიერი
აკადემიკი	როდა, ვიტესი, აიაქსი	3	საფრანგეთი	3	მონაკო, პსჟ
ოსიეკი	ჩელსი, ლესტერი, ლივერპული	3	ჰოლანდია	3	პსვ, ჰერენვენი
გაზინათეფსფორი	ცსკა, ტორპედო, დინამო, ალანია	3	ინგლისი	3	მანჩესტერი, არსენალი
ლოზანა, ბაზელი	აეკ, ოფი, შაოკ, ?	4	რუსეთი	2	სპარტაკი
მიოლდე	?	4	საბერძნეთი	2	ოლიმპიკოსი
ლილესტრიომი	ლიბერეცი	2	პორტუგალია	2	სპორტინგი
ბრიუგე, ვენტი, ლიერსი	გრაცერი	2	ჩეხეთი	2	სპარტა
აიკ, შალმსტადი	ვიბორგი	2	ავსტრია	2	ტიროლი
ნორჩიოპინგი	?	2	დანი	2	ჰერფიოლგე
?, ვისლა, რუხი	ანთალიასფორი	2	ხორვატია	2	დინამო (ზაგრები)
აბერდინი, სელტიკი	კრივბასი	2	თურქეთი	2	გალათასარაი
პართისი	ციურიხი	3	უკრაინა	1	დინამო (კიევი)
უნივერსიტატეა, რაპიდი (ბუქარესტი)	ბრანი	3	შვეიცარია	1	სენტ გალენი
მტკ, ვაშაში	გენკი	4	ნორვეგია	2	რუსენბორგი
კოშიცე, სლოვანი	იორგრიტე	4	ბელგია	1	ანდერლეხტი
ომონია, აპოელი		4	შვედეთი	1	ჰელსინგბორგი
ლოკომოტივი, ვიტ		3	პოლონეთი	1	პოლონია
პიტ ჯორჯია		3	შოტლანდია	1	გლაზგო რეინჯერსი
ბეითარი, მ. შაიფა		2	რუმინეთი	1	დინამო (ბუქ.)
ოლიმპია, ნოვა გორიცა		2	უნგრეთი	1	დუნაფერი
სლავია, გომელი		2	სლოვაკეთი	1	ინტერი
იოკერიტი, შიკ		2	კვიპროსი	1	ანართოსისი
ნარპედაკი, პარტიზანი		2	საქარბიშვილი	1	ტორპედო
ნეფტოხიმიკი, ცსკა		2	ისრაელი	1	ჰაპოელი (თელ ავივი)
მეტალურგსი		2	სლოვენია	1	მარიბორი
ვენტსპილსი		2	ბელარუსი	1	ბატე
?, ვესტმანეიარი		2	ფინეთი	1	ჰაქა
პობედა, რაბოტნიკი		2	იუგოსლავია	1	ცრენა ზვებდა
ეკრანასი		2	ბულგარეთი	1	ლევსკი
ჟალგირისი (ვილინუსი)		2	ლატვია	1	სკონტო
კონსტრუქტორული, ?		2	ისლანდია	1	რეიკიავიკი
ტულევიკი, ფლორა		2	მაკედონია	1	სლოგა
მიკა, არარატი		2	ლიტვა	1	ჟალგირისი (კაუნასი)
?, კოლერენი		2	მოლდოვა	1	?
დერი სიტი, კორკ სიტი		2	ესტონეთი	1	ლევადა
ბანგორ სიტი		2	სომხეთი	1	შირაქი
ბერი თაუნი		2	ჩრდ. ირლანდია	1	ლინფილდი
?, სლიმა		2	ირლანდია	1	შელბურნი
?, გი გოტუ		2	უელსი	1	ლანსანტფრიდი
ტეუტა, ტომორი		2	მალტა	1	ბირკირკარა
ენენსი, გრევენმახერი		2	ფარერები	1	კლაქსვიკი
ვადუცი		2	ალბანეთი	1	ტირანა
ქიაფაზი, ნეფთი		2	ლუქსემბურგი	1	დუდელანჟი
უელენზინარი, სარაევო		2	ლიხტენშტაინი	1	
კონსტელასი		2	აზერბაიჯანი	1	შამქირი
		2	ბოსნია	1	იედინსტეო
		1	ანდორა	1	

გაქვია

„ანდერლეხტი“ უდავოდ საუკუნის ბელგიური კლუბია და ერთგვარად სამართლიანად იყო, მან რომ საუკუნის ბოლო ჩემპიონატი მოიგო...

ყოველწლიურად „ანდერლეხტის“ ბიუჯეტი იზრდებოდა, მაგრამ ბოლო წლებში ბრიუსელელები ვეღარაფრით ახერხებდნენ გაჩემპიონებას...

მაგრამ სასწაული არ მოხდა. წლები უნდა „ანდერლეხტი“ აღრიხელებს აღარ ჰქავდა, როცა გუნდი ჩემპიონობისთვის ვერ იბრძოდა და მხოლოდ უფასო თასის საგზურებით კმაყოფილებოდა...

პირველ რიგში მწვრთნელი. შარშანდელმა ჩემპიონმა „გენკსმა“ ვერ შეძლო ემე ანტუენისის მწვრთნელად და იგიც უფრო მდიდარ „ანდერლეხტში“ გადავიდა...

დაუბრუნდეთ ანტუენისის, რომელიც უდავოდ „ანდერლეხტის“ წარმატების მთავარი შემოქმედი იყო. „ჩემს შესახებ სეზონის ბოლოს ვილაპარაკოთ“ — ამ სიტყვებით იცილებდა ის...

სეზონისწინა მზადებისას იმასაც გაიგონებდით, „ანდერლეხტი“ კატასტროფისკენ მიექანებაო. და მინც, რაში ადანაშაულებდნენ იმ პერიოდში ახალ მთავარ მწვრთნელს?



„გენკის“ ყოფილი და „ანდერლეხტის“ ახლანდელი მწვრთნელი ემე ანტუენისი...



„ანდერლეხტის“ ყოფილი და „გენკის“ ახლანდელი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი

ანდერლეხტს ჩემპიონობაში შეუილაქეს დაახმარა

ჩემპიონა. როცა პირველი მატჩები კარგად ჩატარდა, ანტუენისი მაინც ძალიან დაგულუპავსო, გაიძახოდნენ. ერთადერთი, კლუბის პრეზიდენტი როჟე ვანდენ სტოკი ენდობოდა თავის დაქირავებულს მთლიანად და არც შემცდარა...

ვერავინ თამაშობდა და დანარჩენებმა, ფაქტობრივად მეორე ადგილისთვის გააჩაღეს ბრძოლა. ბელგიის პირველი დივიზიონში მთამაშე ერთადერთი ქართველის, გელა შევილაძის „ლიერსი“ თავიდან ამ ბრძოლაში ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა...

საუკეთესო თავადამსხმელმა დატოვა — ბრანკო შტრუპარმა და სულემიან ულარემ, შევსება კი გაცილებით დაბალი ხარისხის იყო. „გენკიც“ ჩემპიონიდან საშუალო დონის გუნდად გადაიქცა და საქართველოს ნაკრების უსუსური თამაში რომ არა, ევროსარბიულზეც ვერ გავიღოდა...



„ანდერლეხტის“ ლიდერები: იან კოლერი, ენცო შიფო და ლორენსო სტალენსი

Table with 18 rows and 28 columns containing statistics for various teams and players. The table includes columns for team names, goals scored, goals conceded, and other performance metrics.

ნი გადარჩენილად ჩაივალა... ბელგიური ელიტიდან ახალაღზევებული „გენკი“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ორი წლის წინ ინტერტოტოზე მეზობნი „ლომელი“ გავარდნენ...

დაუბრუნდეთ ჩემპიონს. „ანდერლეხტმა“ პირველობა ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გაინაღდა, ოლონდ თვითონ ჯერ კიდევ სამი მატჩი ჰქონდა სათამაშო...

იმ ტურში ბრიუსელელები „გენკს“ სტუმრობდნენ, ოლონდ ეს თამაში მეორე დღეს უნდა გამართულიყო. „რა თქმა უნდა ჩემს ყოფილ კლუბთან ახლაც საკამოდ მჭიდრო ურთიერთობები მაქვს, მაგრამ მე უკვე რამდენიმე წელია იქ აღარ ვმუშაობ...

„ანდერლეხტს“ კი შეიმძღვე ცოტა ცდილ მოუწევს. მან მიუღო ჩემპიონატი მშვენივრად ჩაატარა, პირველობას უდავოდ იმსახურებს და მოიპოვებს კიდევ — ამბობდა მატჩის წინა დღეს ბოსკამპი. მისი სიტყვები რამდენიმე საათში გამართლდა, როცა „ლიერსმა“ „ბრიუგეს“ აჯობა. თუმცა „გენკის“ და „ანდერლეხტის“ დაპირისპირებას აზრი მაინც არ დაუკარგავს...

და ემე ანტუენისის გულშემატკივრებმა და „ანდერლეხტის“ ხელმძღვანელობამ მყის ახალი ამოცანა დაუსახეს — ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული თამაში! რა თქმა უნდა, ლიგის მოგებაზე სერიოზულად არავინ ფიქრობს და მწვრთნელსაც პროგრამა-მაქსიმუმად მეოთხედფინალამდე გაღწევას სთხოვენ. ნამდვილად ძნელი საქმე იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბელგიის ჩემპიონატის დონე სხვა წამყვან ჩემპიონატებთან შედარებით ერთი დაბალია და ამის დასტურად ქვეყნის ნაკრების თავაკაცის რობერტ ვასევის სიტყვებს მოვიშველიებთ: „ძნელია, ბელგიური ფეხბურთის სისუსტე შენიღბო, განსაკუთრებით კლუბების დონეზე. ბელგიური ფეხბურთი ფინანსების ნაკლებობას განიცდის. იდეები და ფეხბურთელები კი ჩვენც გვაკარვია, მაგრამ ფული... ტელევიზიონიდან შემოსული თანხა მეტად მცირეა. არ არის ფული, ესე იგი, არ არის კარგი ფეხბურთელები, ძლიერი კლუბები, სანახაობა და შესაბამისად მაყურებელიც. ყველაფერი გადახლართულია. საფრანგეთის ზოგიერთ საფეხბურთო სკოლას უფრო დიდი ბიუჯეტი აქვს, ვიდრე ჩვენს საშუალო დონის კლუბებს. მაგრამ ყურების ჩამოყრა არ ივარგებს. საჭიროა მუშაობა, ძიება და იქნებ გამოსავალსაც მივაგნოთ.“

დოზინა მოსულა, ლენს!

ახლოვდება „ტურ დე ფრანსი“ და მისი ფავორიტები ნელ-ნელა ფორ-

ამერიკელმა მზობრულმა თავისი ძალა დაამტკიცა, მაშინ როცა ამ შეჯიბრში მონაწილე სხვა ნამდვილებმა (მზობრ-

„პოსტალი“ ლიდერისთვის ეს ეტაპი ერთგვარი ტესტი იყო, რომელიც მან წარმატებით ჩააბარა.

ამერიკელს 21 წამით ჩამორჩა ბასკი აიმარ სუბელდია, „ბასკური ველოსიპედის“ გამარჯვებული.

თავის მხრივ, შარშანდელი „ტურის“ მეორეადგილოსანი, შვეიცარიელი ალექს ცულე არმსტრონგს წუთით და 41 წამით ჩამორჩა და ეს, ალბათ, იმიტომ,

საინტერესოა, რომ „კრედი აგრიკოლის“ ამერიკელი ბობი ჯულინი ნელ-ნელა იბრუნებს ფორმას.

რაც შეეხება საერთო ჩათვლის ლიდერის ლურჯ-ყვითელ მისურას, იგი არმსტრონგის სკუთრება გახდა და საბოლოო გამარჯვებასაც, სავარაუდოდ, ის მოიპოვებს.



ლენს არმსტრონგი ლურჯ-ყვითელად შეიმოსა

ისურასაც იოლად არ დავთმობ. შაბათის ეტაპი დინსა და ბრიანსონს შორის, ალოს, ვარისა და იზორის მთებით ძალიან ძნელია, მაგრამ ეს „ტურისთვის“ მზადებისთვის საუკეთესო ვარიანტია“ — დასძინა ბოლოს არმსტრონგმა.

ბაბი გურული

დოზინა ტური

მესამე ეტაპი

სენტ ეტიენი — სენ შამონი, ინდივიდუალური რბოლა, 35,7 კმ

- 1. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — 46წთ 56წმ
2. აიმარ სუბელდია (ესპანეთი, ესკალტელი) — +26წმ
3. ტაილერ შამილტონი (აშშ, პოსტალი) — +31
4. ხოსება ბელოკი (ესპანეთი, ფესტინა) — +58
5. დავიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი, კოფიდისი) — +1წთ


სამართო ჩათვლა

- 1. ლენს არმსტრონგი — 10სთ 35წთ 14წმ
2. აიმარ სუბელდია — +28წმ
3. ტაილერ შამილტონი — +45წმ
4. ხოსება ბელოკი — +1წთ 15
5. დავიდ მილარი — +1წთ 25

ფეოლიმპიზმი

ოლიმპიური სპსი


პრიზიორები აქაც იქნაბიან



სიდნეის თამაშების ორგანიზატორებმა შეისწავლეს წინა ოლიმპიადებზე ოლიმპიური სოფლის მცხოვრებთა სექსუალური აქტივობის დინამიკა და დროულად დაასკვნეს, რომ 50 000 პრეზერვატივის შეკვეთა საკმარისი არ იქნება.

სგავსობათა რისკიც მკვეთრად მოიმატებს, ამიტომ თადარიგის დაჭრა უწყველად საჭიროა. თავიდან ასე იყო ჩაფიქრებული: თითოეული მონაწილისთვის განკუთვნილი ნივთების კრებულში პრეზერვატივებიც ჩაერთო, მაგრამ მერე სხვანაირად გადაწყდა.

დავით გულშა



მონტე კარლოში დაშავებულმა რაფელ შუმახერმა შესაძლოა, მონრეალში ვერ ირბოლოს

პატარა შუაის ფუფუ მონრეალში იფიცაბიან

თითქმის ყოველი დღიურად ახალ-ახალი ინფორმაცია ვრცელდება ფორმულა 1-ის მორივ, კანადურ ეტაპთან დაკავშირებით.

უმთავრესი თემა, ცხადია, რაფელ შუმახერის ავარია. მონტე კარლოში რბოლისას რკინის ბარიერზე მიჯახებამ მარტო მისი „უილიამსი“ კი არა, თავად პილოტიც დააზარალა — შეიღსანტი-მეტრიან, საკმაროდ ღრმა ჭრილობაზე ექიმებს რამდენიმე ნაკერის დადება მოუხდათ.

ხელშეორე შემოწმებისას, მედიკოსებმა გერმანელს შინ, მხართუბოზე კოტრილის ვადა ორი-სამი დღით გაუფრთხილეს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მონრეალში ავტორბოლაზე თავისიანების ტესტებს გამოაკლდება.

რომელთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციის ლიდერები მონრეალში, ვილ ვინტენის სახელობის ავტორბოლაში მისასვლელი გზების გადაკეტვით იმუქრებიან.

როდი აწუხებს. თავსატეხი კანადური რაუნდის ორგანიზატორებსაც გაუჩნდათ. მიზეზი — იქაური პროფკავშირების მოსალოდნელი გაფიცვაა.

ირაკლი ნიკოლაძე

რაგბი

კლივი და ენდი: ტკბილი ნყვილი აფრიკაში

ფლავიანდელი ექვსი ერის გამარჯვებული ინგლისის ნაკრები ორი ტესტ-მატჩის გასამართად გუშინ სამხრეთ აფრიკას ეწვია. 17 და 24 ივნისს პრეტორიაში და ბლომფონტენში ინგლისელები „ქურციკებს“ გაეჯიბრებიან.

რევერისთვის იბრძოლებს. სამხრეთ აფრიკა ის ქვეყანაა, სადაც უნდა ჩახვიდ და რაგბი ითამაშო.

მარტინ ჯონსონი, ინგლისის ეროვნული ნაკრების კაპიტანი, დარწმუნებულია თავისი გუნდის წარმატებაში და იმედოვნებს, რომ მასპინძლებს ორივე მატჩში დაამარცხებენ.

ბაბო სვანნიძე

Table with 3 columns: აირპელი ტური, ირლანდია — საფრანგეთი, შოტლანდია — იტალია. It lists dates and locations for various cycling events.

რეპატა სემსი არ არის: სემსს არ კითხულობენ ჩვენთვის მართო კაცი ჭამაშიაც ცოლო, სხვაში ოკეანეშიც ეულად ცურავენ

4 ივნისს ბრიტანული პლიმუტის ნავსადგომიდან 71 იანტიკანი შემდგარი არმადა დაიძრა. ადრიანი დილა იყო, სასტარტო თოფი გაკარდა და მარჯვე მეზღვაურებმა იალქნები გაშალეს, რაც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული რეგატის, „იერეუ უან ნიუ მენ სტარის“ დაწყებას მოასწავებდა. რეგატა ტრანსატლანტიკურია, ყოველ მეთხე წელს იმართება და ამერიკაში დასრულდება. კერძოდ, რომ-აილენდის შტატის ქალაქი ნიუპორტია ის ბოლო წერტილი, რომელსაც აფროსინებმა უნდა უწიონ. ნაოსნობის არაპრობლემური პუნქტები არ იქნება, რაც მთავარია, რეგატის მონაწილენი თავიანთ ზომადღებზე სრულიად ეულნი არიან — რბოლა ინდივიდუალურია.

ლაშქარის სრულტის გაღვევამდე ბუნებას, ცხადა, პრობლემები არ შეუქმნია, „ინგლისის არხი“ საერთოდ მყუდრო აღვილია და იანტიკები ატლანტის ოკეანეში უდრტივებულად გავიდნენ, მხოლოდ ფაქ პეინიონის „ჯოშუა“ მიაბრძანეს უკან პლიმუტში: საბუთები არ ჰქონია გაფორმებული წესისა და რიგის მიხედვით, დანარჩენებს კი, ბუნების წყალობის მიუხედავად, იმ დამეს თვალი არ მოუხუჭავთ, სრულტ ჩვეულებრივ ვეგებრთელა ვეგებრთი იყო გატენილი და ამით რატომღაც დასაშვებად მიანდათ ნამცეცა აფრიანებთან 50 ფუტამდე მიახლოება. საბედნიეროდ, ავარიები არ ყოფილა და მეორე დილას მრბოლთა თვალწინ უნაპირო ატლანტიკა რომ გადაიშალა, უკვე მცირედი წაძინებაც შეიძლებოდა. მით უმეტეს, ქარი ვერ ქროდა საჭირო სიმძლავრით და ვეება იალქნები ანებზე მეტწილად ჩერებოდათ ეკიდა. მეზღვაურთა უმეტესობა ასეც მოიქცა, იანტიკები ავტომატურ რეჟიმზე დააყენეს და ჩათვლიდეს, ოღონდ არა დონადლ მაკარდმა. მისი ავტოპილოტი გააყიქა და თავისი ფუნქციების შესრულებაზე უარი თქვა, ხოლო რამდენადაც ათი დღე (სავარაუდოდ ამდენს გასტანს რბოლა) ვერა კაცი უძილოდ ვერ გაგრძელება, მაკარდი იძულებული შეიქმნა, პირი ვბრუნა და პლიმუტს დაბრუნებოდა. 69 იანტიკა

დარჩა. მათი ნაწილი ტრიმარანები და კატამარანები, უმრავლესობა კი — ერთკორპუსიანი. მათ, ცხადა, ცალ-ცალკე ჩათვლები აქვთ, კორპუსების ოდენობა ზომ სინქარის მეტობასაც განაპირობებს. სტარტიდან ფინიშამდე მანძილს სახაზავით თუ გაეზომავთ, 3000 მილი გამოდის, ოღონდ ასე სწორზე ვერავინ ივლის. ყველა იანტიკის თავისი გეგმა აქვს. მასში მწავალი ნიუანსია ჩადებული და უპირველესად ამინდის პროგნოზს ემყარება: ქარი საიდან დაუბერავს და რა ძალით, ესაა მთავარი. კოლფსტრიმის დინებაც ყურადსაღებია. მარჯვე კაცის ხელში იგი შეიძლება სერიოზული მოკავშირე გახდეს, უხეიროს კი ყველაფერი წყალში ჩაუყაროს.

ამინდის პროგნოზს თუ ვერწმუნებით, ქარი ახლა გვარიანად უნდა გაძლიერებულიყო და, ალბათ, იალქნებიც უფრო კარგად დაიბერებოდა, რაც იანტიკების განლაგებაში უეჭველად კორექტივებს შეიტანდა, თუმცა ამაზე ჯერ არაფერი ვიცით, მხოლოდ რბოლის შესამე დღისთვის არსებულ მდგომარეობა ცნობილი. ცხრილში ფრანგთა დომინირებას იოლად შეამჩნევთ. კიდევ რა ჩანს? რა და, ქალთა გვარ-სახელები, თანაც ლიდერთა შორის. აბა, სათაური ჰაიპარად კი არ დავეცივრია.

დავით გულუა

კატამარანები და ტრიმარანები. 1. ალენ გოტიე (საფრანგეთი, „ფონსია“) — 2253 საზღვაო მილი ფინიშამდე (1 საზღვაო მილი 1853 მეტრია); 2. ფრანკ კამპისი (საფრანგეთი, „გრუპამა“) — 2266; 3. უან ლუკ ნოლასი (საფრანგეთი, „ბელგაკომი“) — 2297; 4. ფრანსის ჟოლინი (საფრანგეთი, „იურე“) — 2300; 5. მარკ გიმიო (საფრანგეთი, „ლა ტრინიტონი“) — 2309.

ერთკორპუსიანი იანტიკები. 1. ელენ მაკარტური (დიდი ბრიტანეთი, „კინგ ფიშერი“) — 2411; 2. მიშელ დე-ჟუაიე (საფრანგეთი, „პრბ“) — 2415; 3. როლან ჟურდენი (საფრანგეთი, „სილი“) — 2418; 4. ივ პარლე (საფრანგეთი, „აქციტიანი ინოვასიონსი“) — 2421; 5. კატერინა შაბო (საფრანგეთი, „ვირლბოლი“) — 2423



იან ჯელჯონი

რას გოდავთ, პოლკოვნიკო?

იან ჯელჯონი აპირებს, გახდეს პირველი შუბის მტყორცნელი, ვისაც ოლიმპიადა სამჯერ მოუგია. თუ ბარსელონასა და ატლანტის ოქროს მედლებს სიდნეისაც მიემატა, 34 წლის ჩეხი მძლეოსნობის ისტორიაში თავს სამუდამოდ დაიმკვიდრებს. ეს სავესებით რეალური ჩანს, რადგან ჯელჯონი ახლა ჩინებულ ფორმაშია: გუშინწინ, პრაღაში, მან წლეულს უკვე მეორედ გასტყორცნა შუბი 90 მეტრზე შორს. 24 მარტს, სამხრეთ აფრიკის რომელიღაც ტურნირზე, ჩეხმა 90 მეტრსა და 59 სანტიმეტრს უწია, ხოლო პრაღაში სამი სანტიმეტრით ახლოს დაარჭო თავისი

იარაღი. საყურადღებო ისაა, რომ მშობლიურ ქალაქში მას აქამდე 88,46 მეტრისთვის არასოდეს გადაუცილებია — პრაღის სამძლეოსნო სარბიელი შუბის სატყორცნად საერთოდ მოუხერხებულაო, ამბობენ. ჯელჯონის გეგმების შესახებ მასმედიას მისი მენეჯერი იან პოსპიშილი ესაუბრა. მისი თქმით, სამხრეთ აფრიკასა და ესპანეთში ხანგრძლივი ვარჯიშის შემდეგ ჯელჯონი ორი კვირა ცოლ-შვილში გაატარა (ორი ბავშვი ჰყავს), შედეგ კი პრაღიდან 40 კილომეტრის მოშორებულ ნიმბურკის საწვრთნელ ბანაკს მიაშურა. ზვალ ჯელჯონი კრეტაზე

იქნება (ცნობილ ტყორცნელ მძლეოსან ლაპარაკი ქადაგებდა) პინძელ კოსტას კაციოდისს გაეჯიბრება, რომელიც სიდნეურ ოქროსთვის ბრძოლაში მისი ერთ-ერთი მთავარი მეტოქეა. იქიდან ჩეხი ფინეთს გადავა კუორტანეში ფინელ კონკურენტს აკი პარვიანენს დახვერავს. ეს უკანასკნელი მსოფლიოს პირველობის გამარჯვებულია. სვეილიაში ჯელჯონი მას და კიდევ ერთს ჩამორჩა და ბრინჯაოს დასავჯერდა, თუმცა საოლიმპიადოდ ეს არაფერს წვევტს — ჯელჯონი იმის მერე ძლიერ მოუმატა. ეს არ მომხდარა ტკილად და უზრუნველად, ჩეხის კარიერა ზომ აღსავსე ტრავმებით თერთმეტი წლის წინ ჯელჯონიმ ხერხემლი დაზიანა, სამი წლის შემდეგ კი ზურგი საშინლად აწუხებდა. მან კიდევ ბარსელონის ოლიმპიადა მოიგო და ოთხი წლის თავზე გახდა მეორე შუბის მტყორცნელი, ვისაც ოლიმპიადა ორჯერ მოუგია. ხოლო ორი წლის წინ ისე ჩანდა, რომ ჯელჯონის მხრის ახალი ტრავმის გამო თავისი სპორტული მოღვაწეობა უნდა დაესრულებინა. სპორტსმენი შტანგის ქაჩვისას დაშავდა და აუტანელი ტკივილებისგან ერთხანს კედელკედელ დადიოდა, მაგრამ სამხედრო კაცი მინც სხვა ყოფილა (პოლკოვნიკი გახლავთ), ჯელჯონი ამ სატყორცნად მოერია და სვეილიური ბრინჯაო აშკარად მისი დაბრუნების დასაწყისს მოასწავებდა. ახლა კი ოლიმპიადის ოქროს სურვილით იწვიის. „ის 34 წლისაა — ამბობს პოსპიშილი — მაგრამ ბევრად ახალგაზრდის მენტალიტეტი შეუარჩუნდა. ახლა მას ოლიმპიადაზე აბოლებს, სხვა რამეზე ფიქრი არ შეუძლია.“ თუნდაც აქედან გამომდინარე, ჯელჯონი ოლიმპიადის ერთ-ერთ ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ.

დავით გულუა


ჰერლა Perla

კ ე რ ლ ე

ჰერლა Perla

მ ა რ გ ა ლ ი ტ ე ბ ი ს მ ა დ ა ზ ი ა

კოსტავას 47




როცა გებყვი „0“ გაშინ გაგოდი

ამ სიმრგვალის შიგნით
ახლა პატარა გრეცკი
ზის და ვარეთ
გამოსვლა უნდა.
ცოტაც მოითმინოს,
ერთი-ორ თვეში სუფთა
ჰაერსაც ჩაყლაპავს,
მანამდე კი ჯენეტი,
დიადი უეინ გრეცკის
თანამეცხედრე
პრეზენტაციაზე
მისულა, რომელზეც
ფეხშიძე ქალებისადმი
მიძღვნილი ინტერნეტ-
საიტის გახსნა ეუწყა
საზოგადოებას.




REUTERS ლოს ანჯელესიდან




გვირი ყინულში

ამ ტალიკი ბიჭის გვარ-სახელია ორლანდო ერნანდესი, იგი ნიუიორკელ ბეისბოლიტთა გუნდის პიტჩერი გახლავთ და გუშინინ „იანკ-თაგან“ მონრელელთა დამარცხებაში ლომის წილი დაუდია. მერე რა, რომ რაღაც-რაღაცეები დაშავებია და ყინულით შეუფუთავთ. ტრავმა არაფერია, სახელია ყველაფერი.



REUTERS ლოს ანჯელესიდან



ჰოლივუდი კალათბურთზე

ჰპპ ნიკოლსონი იცინის. ასეც უნდა იყოს, როცა შენი საყვარელი გუნდი 104:87 მოიგებს. იცინიან საღმა პეიკი და მისი სასურველი ედუარდ ნორტონიც, ოდონდ იმათ „ლეიკერსისგან“ „ინდიანას“ დაჩაგვრა კი არა, აღბათ, სხვა, უფრო ცხოვრებისეული რამ უნდა უხაროდეთ. სხვა პოლიფუდლებიც მიუზიდაა ლოს ანჯელესის „სტივობლ სენტერს“, სადაც ნბა-ს პირველი ფინალური მატჩი გაიმართა. აქეთ დასტინ პოფმანი, ჩემო ბატონო, იქით მხარბეჭიანი არნი და სხვებიც... ინტერესი მართლაც ფრიალი იყო.

აუმაკათუსუცასი

ნანყვეტი ლარი რობინსონის წინასამატჩო ქადაგებიდან: „შვილნო ჩემნო! ნიუ ჯერსელი „ემმაკები“ გქვიათ და ამ დიდებული სახელის მაღლა ტარება გმართებთ. მგლები უნდა იყოთ, მგლები! თუ საჭიროა, მუშტი და ყვანჯი უნდა გაიქნით, მეტოქე ბორტს მიაყციტოთ და შიბებით იმის კარი ამოავსოთ! ამას „ემმაკთა“ ღირსება გავადებულებთ“. მწვრთნელის შეგონებანი ნაყოფის მომტანია: ნიუ ჯერსი ნპლ-ს ფინალურ სერიაში „დალასს“ 3:1 ამარცხებს.



სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

ი აგარი რედაქტორი ზურაბ ზონგვერია
დირექტორი გიორგი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიალი
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბუნიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულიაშვილი
ინფორმაციის რედაქტორი რედაქტორი სოსო კობორაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქტორი ქართული განყოფილება კობა ინასარიძე,
მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება

გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქრო-პირიძე; ინფორმაციის რედაქტორი გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მადო ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, ნინო კველამაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შილაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაბაგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი - 79, საზოგადოებრივი
სართული 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbieli.com.ge>